პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 36 (10733) | სამშაბათი, 12 თებერვალი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისათვის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ ერთხმულად მოიწონა მთავრობის მიერ მის განსახილველად წარდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

საბჭოთა სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო გეგმა და ბიუჯეტი მეექვსე ხუთწლედის მეორე წლისათვის შემუშავებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ისინი ითვალისწინებენ სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას და კულტურული დონის ამაღლებას.

გეგმასა და ბიუჯეტში მკაფიოდ აისახა კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზი — ხაზი მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარებისა, რომელიც სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საფუძველია. პარტიის ამ ხაზის სიხწორესა და სიბრძნეში ჩვენი ქვეყნის ხალხები დარწმუნდნენ საკუთარი მრავალი წლის გამოცდილებით. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარების საფუძველზე შეიძლება უზრუნველვყოთ მრეწველობის სხვა დარგების განუხრელი ზრდა, სოფლის მეურნეობის აღმავლობა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაფართოება.

სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველი სტრიქონი, ყოველი ციფრი გამოხატავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მშრომელების მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის.

მომდინარე წელს მნიშვნელოვნად განვითარდება მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგები, რომლებმაც უნდა უზრუნველყოონ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი სათბობზე, ლითონზე, ცემენტსა და სხვა სახეობათა მასალებსა და ნედლეულზე, რომლებიც საჭიროა წარმოებისა და მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმით და ბიუჯეტით გათვალისწინებულია აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების დიდი ზრდა, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდება.

სოციალისტური საზოგადოების განვითარება განუყრელად დაკავშირებულია მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებასთან. კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ და მიაჩნიათ ზრუნვა ხალხის ცხოვრებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ იზრდება ნაციონალური შემოსავალი, რაც უზრუნველყოფს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

1957 წელს მნიშვნელოვნად იზრდება მუშამოსამსახურეთა ხელფასის საერთო ფონდი, კოლმეურნეთა შემოსავალი.

სახელმწიფო ხარჯები სოციალურ-კულტურულ დონისძიებებზე 1956 წელთან შედარებით თითქმის 25 მილიარდი მანეთით გაიზრდება და 188 მილიარდ 398 მილიონი მანეთი იქნება. მომდინარე წელს საცალო საქონელბრუნვა გაიზრდება 57 მილიარდი მანეთით. საქონელბრუნვის ასეთი უდიდესი ზრდა ჩვენს ქვეყანაში არასოდეს არ ყოფილა.

1957 წელი აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომი განვითარებით. წელს მოსწავლეთა რიცხვი დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში 29,1 მილიონი იქნება, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისა — დაახლოებით 2 მილიონი, უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებისა — 2 მილიონზე მეტი. დიდი სახსრები ასიგნებული მეცნიერების განვითარებისათვის, უახლესი მოწყობილობით ლაბორატორიებისა და ინსტიტუტების აღჭურვისათვის. გაფართოვდება საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების, დისპანსერების, სანატორიუმების, სბავშვო ბაღებისა და ბაღლების, სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ სახალხო-სამეურნეო გეგმის იმ ნაწილს, რომელიც ეხება საბინაო მშენებლობას. საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესება პარტიასა და მთავრობას მიაჩნიათ უმნიშვნელოვანეს ამოცანად 1957 წელს და მთელ მეექვსე ხუთწლედში.

მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, საბინაო მშენებლობის საკითხები მუდამ იყო მუშურ-გლეხური მთავრობის ყურადღების ცენტრში. თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი უზრუნველყოფილი იქნებოდა კარგი ბინებით, რომ არ ყოფილიყო უდიდესი ნგრევა, რაც ჩვენს სამშობლოს მიაყენეს სამოქალაქო ომმა და უცხოელმა სამხედრო ინტერვენტებმა 1918-1921 წლებში, გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა დიდი სამამულო ომის წლებში. ჰიტლერელმა დამპყრობლებმა, რომლებიც ვერაგულად დაეხსნენ თავს ჩვენს ქვეყანას, უმაგალითოდ გაანადგურეს მისი მნიშვნელოვანი ტერიტორია, მიწასთან გაასწორეს ასობით ქალაქი, ათეულ ათასობით სოფელი.

ომისშემდგომ წლებში საჭირო გახდა ხალხის მთელი ძალების უდიდესი დაძაბვა, უმაგალითო სიძნელეების გადალახვა, რათა მოკლე დროში აღგვედგინა ცხოვრება ნახანძრალებზე, მიგვეცა მილიონობით უსახლკარო ადამიანისათვის ბინა, აღგვედგინა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, წინ წაგვიყვანა ისინი.

მეხუთე ხუთწლედის მანძილზე სსრ კავშირში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულია 151,7 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. 1956 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულია კიდევ 36 მილიონი კვადრატული მეტრი ბინები.

ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის მოცულობა უდიდესია, და იგი წლითიწლობით იზრდება. მაგრამ იგი საკმარისი არ არის, რადგან ბინების პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება. აი ამიტომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა საჭიროდ მიიჩნია გამოინახოს შესაძლებლობანი, რათა გამოიყოს დამატებითი სახსრები საბინაო მშენებლობისათვის, გადაჭრით აღმოიფხვრას ამ მშენებლობის პრაქტიკიდან ზედმეტობა, უკეთ იქნას გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები, ყოველი ღონისძიებით შეეწყოს ხელი ადგილობრივ ინიციატივას.

1957 წელს დასახულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართო პროგრამა. საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა ამ წლისათვის დაწესებულია 29,9 მილიარდი მანეთის ოდენობით, ესე იგი თითქმის 5 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1956 წელს. ადგილობრივ საბჭოებსა და საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ დამატებით გამოიყენონ ამ მიზნებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტების ზეგეგმითი შემოსავალი, საწარმოთა ფონდების სახსრები და სხვა წყაროები.

სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა გზით, აგრეთვე მოსახლეობის სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით წელს განზრახულია აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 46 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ანუ 28 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან აშენდა. დიდ საბინაო მშენებლობას განახორციელებენ აგრეთვე კოლმეურნეობები და კოლმეურნეები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა უზრუნველვყოთ 1957 წელს საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გეგმის უფუო შესრულება და მოვამზადოთ პირობები შემდგომ წლებში საბინაო მშენებლობის კიდევ უფრო ფართოდ განვითარებისათვის.

საჭიროა უწინარეს ყოვლისა სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიული მეთოდების დანერგვის საფუძველზე უზრუნველვყოთ საბინაო მშენებლობის ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება. ამასთან დაკავშირებით უნდა გავაფართოოთ მცირესართულიანი საბინაო მშენებლობა, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ შემსუბუქებული კონსტრუქციები და იაფი ადგილობრივი საშენი მასალები. მშენებელთა წინაშე დასახულია ამოცანა — გადაჭრით გაუმჯობესონ საბინაო მშენებლობის ხარისხი.

ბევრი დეპუტატი სესიაზე ლაპარაკობდა საშენ მასალათა მწვავე ნაკლებობაზე, საშენ მასალათა მრეწველობის ბევრი საწარმოს არადამაკმაყოფილებელ მუშაობაზე. შარშან საკავშირო დაქვემდებარების საშენ მასალათა 156 ქარხნიდან 46 ქარხანამ ვერ შეასრულა საწარმოო პროგრამა. კრასნოიარსკის მხარეში, ამბობდა დეპუტატი ნ. ნ. ორგანოვი, აგურის ქარხნების არსებული საწარმოო ფართობიდან შეიძლება წელიწადში დამატებით მივიღოთ 100 მილიონი ცალი აგური, მაგრამ ამას ხელს უშლის ზოგიერთი სამინისტროს უწყებრივი მიდგომა. სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებში საშენ მასალათა ადგილობრივი მრეწველობის დიდი დაჩაჩქულობისა და ადგილობრივი საბჭოების ხელში მისი ხელმძღვანელობის კონცენტრაციის საკითხი აღძრეს თავიანთ სიტყვებში დეპუტატებმა ი. ვ. კაპტონოვმა (მოსკოვი) და კ. კ. ნიკოლაევმა (სვერდლოვსკი).

საბინაო მშენებლობისათვის იაფი ადგილობრივი საშენი მასალების მასობრივი წარმოება შეიძლება მოეწყოს და საჭიროა მოეწყოს ყველგან. ამ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდონ ხელი ადგილობრივმა საბჭოებმა, სამრეწველო საწარმოებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ბინების მშენებლობის გაფართოების, მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გორკის საავტომობილო ქარხნის მუშების თაოსნობას, რომლებიც საკუთარი ძალებით აშენებენ სახლებს. ამ დღეებში „პრავდა“ იუწყებოდა, რომ საავტომობილო ქარხნის მუშები და ქალაქ გორკის სხვა საწარმოთა კოლექტივები მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად აფართოებენ სახლების აგებას საკუთარი ძალებით. გორკელთა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, დეპუტატმა გ. ა. ბეზდომოვმა სესიაზე განაცხადა, რომ ჩელიაბინსკის ოლქში წელს საწარმოთა მუშებისა და მოსამსახურეების ძალებით აშენდება 165 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჩადდება თვითმოქმედი საბინაო მშენებლობა მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც. სამეურნეო ხელმძღვანელების, ადგილობრივი საბჭოების, პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საქმეში ჩაებან მეტი საწარმო და დაწესებულება, ათასობით ახალი მუშა და მოსამსახურე, გაუწიონ მათ ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება.

საბჭოთა ხალხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სამუშაოთა პროგრამას, რომელიც უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა 1957 წლისათვის. მუშები, კოლმეურნეები, საბჭოთა ინტელიგენცია კიდევ უფრო ფართოდ აჩალებენ შეჯიბრებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, მეექვსე ხუთწლედის მეორე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

„პრავდის“ 11/II მოწინავე.

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების წინადადებათა მიხედვით მიღებული ცვლილებებით, — სულ შემოსავლის ნაწილში 617.155.967 ათასი მანეთის და სულ გასავლის ნაწილში 604.580.653 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 12.575.314 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 2. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან სულ 524.460.221 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — მძიმე მრეწველობის, სამშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 244.658.368 ათასი მანეთის ოდენობით და, გარდა ამისა, საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საკუთარი სახსრებიდან 131.553.510 ათასი მანეთი, ხოლო სულ 376.211.878 ათასი მანეთი.

მუხლი 4. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საყოველთაო სწავლების სკოლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების, ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, რადიომაუწყებლობისა და განათლების და კულტურის სხვა ღონისძიებებისათვის; საავადმყოფოების, საბავშვო ბაღების, სანატორიუმების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის — სულ 188.398.022 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 5. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასავალი მოსახლეობისათვის სახელმწიფო სესხებით მოგებათა ასანაზღაურებლად და ობლიგაციების დასაფარავად 15.400.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვით 96.721.542 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 7. დაწესდეს სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნობანი სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახავად 11.940.880 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 8. დამტკიცდეს 1957 წლის საკავშირო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 423.108.282 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში 410.532.968 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 12.575.314 ათასი მანეთის გადამეტებით.

მუხლი 9. დაწესდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები სულ 194.047.685 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	104.312.566
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	43.799.983
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	7.215.121
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	5.352.819
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	11.512.299
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.621.197
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.352.481
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.523.204
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.703.581
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.616.058
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.618.271
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.622.055
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.642.336
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.471.922
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.683.792

დაწესდეს 1957 წლისათვის ანარიცხები ბრუნვის გადასახადიდან რუსეთის სფსრ რესპუბლიკის ბიუჯეტში — 9,7 პროცენტი, უკრაინის სსრ — 36,5 პროცენტი, ბელორუსიის სსრ — 46,4 პროცენტი, უზბეკეთის სსრ — 24,8 პროცენტი, ყაზახეთის სსრ — 73,9 პროცენტი, საქართველოს სსრ — 32,5 პროცენტი, აზერბაიჯანის სსრ — 29,0 პროცენტი, ლიტვის სსრ — 52,4 პროცენტი, მოლდავეთის სსრ — 27,0 პროცენტი, ლატვიის სსრ — 16,3 პროცენტი, ყირგიზეთის სსრ — 43,6 პროცენტი, ტაჯიკეთის სსრ — 51,4 პროცენტი, სომხეთის სსრ — 42,0 პროცენტი, თურქმენეთის სსრ — 49,7 პროცენტი, ესტონეთის სსრ — 41,3 პროცენტი.

დატოვებულ იქნას 1957 წლისათვის ანარიცხები მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებში სხვა საერთო-საკავშირო სახელმწიფო შემოსავლიდან 1956 წლისათვის დაწესებული ოდენობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 9 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის 1955 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 564.344.797 ათასი მანეთის, გასავლის ნაწილში 539.538.348 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 24.806.449 ათასი მანეთის გადამეტებით.

2. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრომ, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულეს ბიუჯეტში მათთვის დაწესებული გადასახდელები.

3. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი აღნიშნული სამინისტროების საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1957 წ. 9 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი

9 თებერვალს 14 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოს სხდომა. კავშირის საბჭოს თავმჯდომარე **პ. პ. ლობანოვი** კამათში მონაწილეობისათვის სიტყვას აძლევს დეპუტატ **პ. ა. კოკორევს** (მორდვეთის ასსრ). როგორც სხვა დეპუტატებმა, მან აზრი გამოთქვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების სასარგებლოდ. ორატორი დაწვრილებით ლაპარაკობს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მორდვეთის ასსრ შემდგომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობასთან. ამით დამთავრდა კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

საბოლოო სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიური კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **მ. გ. პერვუხინს.**

აღნიშნა რა დეპუტატთა ერთსულოვნება 1956 წლის სამეურნეო შედეგების შეფასებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის ამოცანების განსაზღვრაში, ამხ. პერვუხინმა ხაზი გაუსვა, რომ გეგმის განხილვას უმაღლესი საბჭოს ორივე პალატაში ღრმა და კონკრეტული ხასიათი ჰქონდა. ეს ხელს შეგვიწყობს უკეთ გავერკვიოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მთელ რიგ საკითხებში.

შემდეგ მ. გ. პერვუხინმა თქვა, რომ მთავრობა დაეთანხმა კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის შესწორებებს და სავსებით დასაბუთებულად და რეალურად მიაჩნია ისინი. ყველა ამ შესწორების მიღება შესაძლებელს გახდის მოსახლეობისათვის მისაყიდი საქონლის რესურსები 1957 წელს საერთოდ გადიდდეს დაახლოებით 1,4 მილიარდი მანეთით.

კავშირის საბჭოს დეპუტატებმა თავიანთ სიტყვებში დააყენეს მთელი რიგი სერიოზული საკითხები, რომლებიც ეხება ჩვენი ქვეყნის ცალკეული რაიონების ეკონომიკის განვითარებას, დარგებს შორის სამეურნეო კავშირის განმტკიცებას, მრეწველობაში კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გაუმჯობესებას, დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებას. დიდი ყურადღება მიექცა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაძლიერების, აგრეთვე სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობის საკითხებს.

დეპუტატების მიერ დაყენებული საკითხები, აღნიშნა ორატორმა, განიხილეს სათანადო სამინისტროებმა, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და სახელმწიფო ეკონომიურმა კომისიამ და შედეგები მოხსენდა მთავრობას. დეპუტატთა გამოსვლებში დაყენებული ზოგიერთი საკითხი მთავრობამ განიხილა და მათზე მიღებულია გადაწყვეტილებანი.

სულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა იზრდება 212 მილიონი მანეთით. გარდა ამისა, მთავრობა დაეთანხმა საბიუჯეტო კომისიების წინადადებებს 486 მილიონი მანეთით ბიუჯეტის ასიგნობათა გადიდების შესახებ სოციალურ-კულტურული დაწესებულებებისათვის ინვენტარის შესაძენად, ტუბერკულოზით ავადმყოფთა უფასო მკურნალობისათვის მედიკამენტების შესაძენად, ქალაქების კეთილმოსაწყობად და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტისათვის.

შემდეგ ამხ. მ. გ. პერვუხინი ამბობს, რომ გეგმით დაწესებულ დავალებათა დროზე და წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საწარმოთა რიტმული მუშაობის უზრუნველყოფა. საჭიროა გაძლიერდეს ყურადღება სათბობის, ნედლეულისა და მასალების, როგორც წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წყაროს, ეკონომიის საკითხებისადმი. იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სწრაფად მზარდი მოთხოვნილებანი სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და საოჯახო საქონელზე, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, ამ მიზნით გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მასალების ადგილობრივი რესურსები.

სახალხო მეურნეობის 1957 წლის გეგმა ითვალისწინებს სოციალისტური ეკონომიკის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებას. ეს გეგმა, რომელიც შეესაბამება საბჭოთა ხალხის ძირეულ ინტერესებს, უსათუოდ წარმატებით განხორციელდება და საბჭოთა კავშირი ახალ ნაბიჯს გადადგამს წინ კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

შემდეგ კავშირის საბჭომ დეპუტატ **ა. ე. კოჩინიანის** წინადადებით ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმის შესახებ.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ ა. გ. ზვერევის საბოლოო სიტყვის შემდეგ პალატამ ერთხმად მიიღო კანონი სსრ კავშირის 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

იწყება განხილვა დღის წესრიგის შემდეგი საკითხისა — მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის.

მოხსენება გააკეთა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **მ. ა. იასნოვმა.** მან დაახასიათა კანონის პროექტი, რომელიც კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა შეიტანეს.

ეს წინადადება, ამბობს ორატორი, შედეგია იმ ღონისძიებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაჭრაში მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა და ინიციატივის განვითარების ამაღლებასთან ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის შეზამების ლენინური პრინციპიდან და რომლებიც უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით ხორციელდება. ისინი მოასწავებენ სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას.

ამ კანონპროექტის მომზადებისას საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიები ითვალისწინებდნენ, რომ სახალხო სასამართლოები, საოკრუგო, საოლქო და სამხარეო სასამართლოები, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოები მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოები არიან. ყველა ამ სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება გამოაქვს სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სახელით. ამის გამო კომისიებს მიაჩნიათ, რომ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკათა სასამართლოების მოწყობას, უნდა სცემდნენ თვით მოკავშირე რესპუბლიკები. სამოქალაქო, სისხლის სამართლის კანონმდებლობამ და სამართალწარმოების კანონმდებლობამ აგრეთვე უნდა გაითვალისწინონ სათანადო მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ-საყოფაცხოვრებო და სხვა ადგილობრივი პირობები. იგულისხმება, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებების გაფართოება სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კანონმდებლობის დარგში, აგრეთვე სასამართლოს მოწყობის შესახებ კანონმდებლობის დარგში არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ უარი ვთქვათ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე კანონმდებლობის საერთო პრინციპული საკითხების ერთნაირად გადაჭრის საჭიროებაზე.

კამათში გამოსულმა დეპუტატმა **ს. ვ. სტეფანიკმა** (უკრაინის სსრ) მხარი დაუჭირა შემოტანილ კანონპროექტს. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის, ამბობს იგი, ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

ამხ. სტეფანიკს შეაქვს მთელი რიგი წინადადებანი. კერძოდ, მას საჭიროდ მიაჩნია შეიცვალოს კანონმდებლობა სახალხო სასამართლოების მოწყობისა და ორგანიზაციის შესახებ, წინადადებას იძლევა გაუმჯობესდეს იურიდიული კადრების მომზადების სისტემა.

ამხ. **ა. ა. კრუგლოვი** — რუსეთის სფსრ პროკურორი, იწონებს რა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის მიერ შემოტანილ პროექტს, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის შესაძლებელს გახდის უფრო სრულად და ყოველმხრივ გავითვალისწინოთ მოკავშირე რესპუბლიკათა ისტორიული განვითარების და ეროვნული ყოფაცხოვრების თავისებურებანი.

ახალი კანონის მიღებას დადებითი მნიშვნელობა ექნება დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაშიც, რადგან საკანონმდებლო ორგანოები შეძლებენ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით დაწესონ კანონის სწორედ ის ნორმები, რომლებიც უფრო ეფექტიანი იქნება ამა თუ იმ რესპუბლიკის პირობებში.

ამხ. კრუგლოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი კოდექსების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოთა სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით დაცვას.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **კ. დ. დიკამბაევს** (ყირგიზეთის სსრ). იგი ამბობს, რომ მთელმა რიგმა მოკავშირე რესპუბლიკებმა, რომლებიც სსრ კავშირის შემადგენლობაში სხვებზე გვიან

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

კავშირის საბჭოში

(დასასრული)

შევიდნენ, ვერ მოასწრეს შეექმნათ თავიანთი სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სხვა კოდექსები. ასეთ რესპუბლიკათა რიცხვს ეკუთვნის ყირგიზეთის სსრ, რომლის ტერიტორიაზე მოქმედებენ რუსეთის ფედერაციის კოდექსები. განსახილველი კანონპროექტის მიღება უფრო განამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს. ამის გაკეთება მიზანშეწონილია აგრეთვე იმიტომ, რომ ამჟამად მოქმედი კოდექსები და ცალკეული კანონები მნიშვნელოვნად მოძველდნენ. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მევახშეობისათვის, რომელიც დიდი ხანია ლიკვიდირებულია კაპიტალისტურ ელემენტებთან ერთად.

კანონმდებლობის საკითხებისადმი საბჭოთა ადამიანების დიდ ინტერესზე თავის სიტყვაში ილაპარაკა დეპუტატმა **ა. მ. რუმიანცევმა** (დნეპროპეტროვსკის ოლქი). მან განაცხადა, რომ ამომრჩევლებს თავიანთ მრავალ წერილში შემოაქვთ წინადადებანი, რომელთა მიზანია საბჭოთა სოციალისტური კანონიერების გაუმჯობესება. ეს წინადადებანი გამოხატავენ საბჭოთა ადამიანის ზრუნვას საკუთარი სახელმწიფოსათვის, შეიცავენ კონკრეტულ რჩევას, თუ როგორ გაუმჯობესდეს ჩვენი კანონმდებლობა, სახელმწიფო აპარატის მუშაობა.

დეპუტატ რუმიანცევის გამოსვლის შემდეგ თავმჯდომარე აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრთა ჯგუფის შეკითხვას საბჭოთა მთავრობისადმი. როგორც ცნობილია, ეს შეკითხვა გააკეთეს აგრეთვე ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარე ამბობს, რომ ამ შეკითხვაზე მთავრობა პასუხს გასცემს სესიის მუშაობის დროს. (საკდესი).

★ ★ ★

11 თებერვალს განაგრძობდა მუშაობას სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. დილის 10 საათზე გაიმართა **კავშირის საბჭოს** სხდომა, რომელიც დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილის **ზ. ს. ომაროვას** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

კამათში საკითხზე მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ გამოვიდნენ დეპუტატები **ნ. ი. მუსხელიშვილი** (საქართველოს სსრ) **ა. გ. ბონდარი** (ბელორუსიის სსრ), **ე. ფ. პოლიშჩუკი** (უკრაინის სსრ). მათ, ისევე როგორც წინათ გამოსულმა დეპუტატებმა, მხარი დაუჭირეს წინადადებას, რომ დამტკიცდეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების მიერ წარდგენილი კანონპროექტი, გამოთქვეს მთელი რიგი შენიშვნები მოკავშირე რესპუბლიკებში სამართალწარმოების საქმის გაუმჯობესების შესახებ.

ამის შემდეგ კავშირის საბჭომ ერთსულოვნად მიიღო კანონი მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის შესახებ კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ.

შემდეგ პალატა შეუდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებას. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ა. თ. გორკინს.**

პალატა ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე და მეექვსე სესიებს შორის.

კავშირის საბჭო იწყებს დღის წესრიგის პუნქტის განხილვას — საოლქო და სამხარეო აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის.

მოხსენება გააკეთა კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წევრმა დეპუტატმა **ტ. მ. ზუევამ.** მან განაცხადა, რომ კანონის პროექტი, რომელიც ერთობლივად მომამზადეს ორივე პალატის საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა, გულისხმობს საოლქო და სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის უფლებების გადაცემას მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ეს ახალი ნაბიჯია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი სუვერენულობის კიდევ უფრო განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხს დიდი პოლიტიკური და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მისი სწორად გადაჭრა ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატის საქმიანობის უფრო ზუსტად ორგანიზაციას, გვეხმარება უფრო ფართოდ ჩავაბათ მშრომელი მასები სახელმწიფოს მართვაში, აგრეთვე ხელს უწყობს იმ უდიდესი სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების ორგანოები ეწევიან ადგილებზე.

შემდეგ გამოვიდა დეპუტატი **კ. მ. სოკოლოვი** (ვორონეჟის ოლქი), რომელმაც განაცხადა, რომ საოლქო და სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მიკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის, რასაც კანონპროექტი ითვალისწინებს, სავსებით სწორია. მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, რომელიც უკეთ იცნობს ადგილობრივ პირობებს, შეუძლია ყველაზე მიზანშეწონილად გადაჭრას ეს საკითხები.

ახალი კანონის პროექტი, ამბობს დეპუტატი **კ. მურთაზაევი** (უზბეკეთის სსრ), — მკაფიოდ მოწმობს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება, მათს ურთიერთ ნდობასა და ერთგულებას დიდი სოციალისტური სამშობლოსადმი.

ორატორს მიაჩნია, რომ დღემდე არსებული მეტისმეტი ცენტრალიზაცია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაწყვეტაში ამ უკანასკნელ დროს, იმასთან დაკავშირებით, რომ სწრაფად ვითარდება რესპუბლიკის ეკონომიკა და კულტურა, გაიზარდა მათი გამოცდილება საბჭოთა მშენებლობის დარგში და შეიქმნა კვალიფიციური ეროვნული კადრები, არ შეესაბამება დღევანდელი დღის მოთხოვნებს. ახალი კანონის მიღების შემდეგ რესპუბლიკურ ორგანოებს, რომლებიც უფრო დეტალურად იცნობენ თვითეულ ეკონომიურ რაიონს, შეუძლიათ თვითონ გადაჭრან ადმინისტრაციული მოწყობის გადაუდებელი საკითხები.

დეპუტატებმა **ტ. სიდიკბეკოვმა** (ყირგიზეთის სსრ), **ნ. ტ. პოდოლსკიმ** (ხმელნიცკის ოლქი) თავიანთ გამოსვლებში აგრეთვე დაუჭირეს მხარი კანონის პროექტს, რომელიც საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა შეიტანეს.

კამათი მთავრდება. კავშირის საბჭო ერთსულოვნად იღებს კანონს საოლქო და სამხარეო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხთა გადაჭრის მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ.

ამის შემდეგ პალატის სხდომა იხურება.

ეროვნებათა საბჭოში

კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ გ. ა. გეგეშიძის სიტყვა

(ოზურგეთის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! ახორციელებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა გასულ 1956 წელს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალ მნიშვნელოვან აღმავლობას მიაღწიეს.

მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტი წარმატება გვექნებოდა, რომ მოგვეხერხებინა აღმოგვეფხვრა სერიოზული ნაკლოვანებანი მრეწველობის ხელმძღვანელობაში. ჩვენს მრეწველობას მოეპოვება დიდი შესაძლებლობანი, რომელთა გამოვლინება და ამოქმედება უზრუნველყოფს მის შემდგომ აღმავლობას.

ამხანაგებო, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ განახორციელეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, საკავშირო დაქვემდებარებიდან მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში რომ გადასცეს მრეწველობის საწარმოთა მნიშვნელოვანი რიცხვი.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროის განმავლობაში, რომელიც გავიდა მას შემდეგ, რაც სამრეწველო საწარმოები საკავშირო დაქვემდებარებიდან რესპუბლიკურს გადაეცა, ეს საწარმოები უკეთ ართმევენ თავს საწარმოო პროგრამის შესრულებას. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთ მაგალითს. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა — საქართველოს საკმაოდ დიდი საწარმო — რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადაეცა 1955 წლის იანვრიდან. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ამხ. რიეოვს ალბათ ახსოვს, რომ ფაბრიკა, როცა საკავშირო დაქვემდებარებაში იყო, სისტემატურად ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმას. მას შემდეგ, რაც ფაბრიკა რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში გადაეცა, მისი მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. თუ 1954 წელს ფაბრიკას ჰქონდა 7.875 ათასი მანეთი ზარალი, 1956 წელს მას ჰქონდა 23 მილიონი მანეთი მოგება. დიდი წარმატებებია მიღწეული ნედლეულსა და მასალების ეკონომიაში.

ამხანაგო დეპუტატებო! რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებასა და მუშათა კრებებზე მშრომელებმა მთლიანად და სავსებით მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამ გადაწყვეტილებებში ჩვენ ვხედავთ, თუ რა ზრუნვას იჩენენ ჩვენი მშობლიური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობისათვის.

ყველა ჩვენგანს განსაკუთრებით მოგვეწონა მწვავე პრინციპული კრიტიკა პლენუმზე სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და სახელმწიფო ეკონომკომისიის მიმართ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა დაგეგმვის დარგში, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მგეგმავი ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ არ ემყარება მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქების ნამდვილ მოთხოვნილებათა, მათი ეკონომიური განვითარების ხასიათისა და თავისებურებათა ღრმა ცოდნას.

იმის შედეგად, რომ მგეგმავი ორგანოები ვერ იცნობენ ადგილობრივ კონკრეტულ პირობებს და სწორად ვერ გეგმავენ, ჩვენში ცუდად არის დაყენებული ჩვენი მრეწველობის და განსაკუთრებით მშენებლობათა მატერიალური მომარაგების საქმე. სერიოზული ნაკლოვანებებია აგრეთვე ტვირთების ტრანსპორტირების დაგეგმვის საქმეში. საქართველოს სსრ საშინ მასალათა მრეწველობის სამინისტროს თბილისის ხისდამმუშავებელ კომბინატს მარმარილოს ბლოკები ქალაქ ჩელიაბინსკიდან მოაქვს, რაც ბევრად აძვირებს პროდუქციის თვითღირებულებას, გადატვირთულია რკინიგზის ტრანსპორტი. და ეს მაშინ ხდება, როცა ჩვენს რესპუბლიკაში არის მშვენიერი მარმარილოს დამუშავების დიდი შესაძლებლობანი, მარმარილოსი, რომელიც ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ამხანაგებო, ჩვენი პარტია და მთავრობა ყოველთვის ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. და შემთხვევითი როდია, რომ საბინაო მშენებლობის საკითხებს ასე დიდი ყურადღება მიაპყრო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა.

ცოდვა გამქღავნებული სჯობს, საქართველოს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით ქალაქ თბილისში დიდხანს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება მშრომელთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. მართალია, ამ უკანასკნელ ხანს, გამოვიყენეთ რა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, გორკის მშენებელთა მდიდარი გამოცდილება, ერთგვარ გაუმჯობესებას მივაღწიეთ ამ საქმეში. მაგრამ საცხოვრებელი სახლების ის რაოდენობა, რომელსაც ჩვენ საექსპლოატაციოდ გადავცემთ, მეტად მცირეა იმ მწვავე ნაკლებობის დასაფარავად, რომელსაც ბინების მხრივ განვიცდით. სახსრების არასწორი განაწილებისა და საკმაო მასალების უქონლობის შედეგად ჩვენს ქალაქში ნელა ვითარდება კანალიზაციისა და წყალსადენის ქსელი. ქალაქში არის ახალი რაიონები, სადაც არ არის კანალიზაცია, არ არის წყალსადენი, ქუჩა მოუკირწყლავ-მოუასფალტებელია, რომ არა ვთქვათ რა იმაზე, რომ იქ არ არის სამკურნალო დაწესებულებები, სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია დაიწყოს გროზნო-თბილისის გზსადენის მშენებლობა. რესპუბლიკურმა და საქალაქო პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უკვე დიდი და სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა გააჩაღეს ამ მიმართულებით. სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის თბილისში გაზის მიღება მნიშვნელოვნად შეამცირებს ელექტროენერგიის, ქვანახშირისა და ნავთობის ხარჯს, რომლებით უზრუნველყოფაში ჩვენ შეფერხება გვაქვს.

ჩვენ ვთხოვთ საკავშირო მთავრობას დაეჩქაროს ამ მშენებლობის ვადა, რაც სასიცოცხლოდ საჭიროა საქართველოს და მისი დედაქალაქის მშრომელებისათვის. ჩვენი მხრივ პირობას ვაძლევთ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი რესპუბლიკისათვის მეექვსე ხუთწლედის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტის მშენებლობა ვადამდე დამთავრდეს.

დიდმა ოქტომბერმა ქართველ ხალხს შეუქმნა ჩვენი ეკონომიკისა და კულტურის აყვავების ფართო შესაძლებლობანი. იმან, რაც უკვე მიღწეულია, გადაჭარბა ყველაზე გაბედულ ოცნებას და ერთხელ კიდევ თვალნათლივ დასტურებს საბჭოთა სოციალისტური წყობილების უდიდეს ძალას. რესპუბლიკის ელექტროსადგურების სიმძლავრემ 1955 წელს 80-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება იმავე პერიოდში 110-ჯერ და მეტად გადიდდა. ახლა ჩვენში ყოველ სამ დღეში მეტ ელექტროენერგიას ვაწარმოებთ, ვიდრე მთელ 1913 წელს. ქვანახშირის ამოღებამ 38-ჯერ და მეტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს. სერიოზული წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობაშიც.

საქართველო მაღალი კულტურისა და წერა-კითხვის მცოდნეობის რესპუბლიკაა. თუ რევოლუციამდე ჩვენში არ ყოფილა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა საქართველოს რესპუბლიკამ უმაღლესი განათლების დარგში გაუსწრო მეზობელ სახელმწიფოებს — თურქეთსა და ირანს — პირველს 10-ჯერ, ხოლო მეორეს 15-ჯერ.

დღევანდელი საქართველო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე კი არ არის, არამედ სოციალისტური, ინდუსტრიული საქართველოა, რომელსაც აქვს დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა. მისმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში მოიპოვა ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრების შესაძლებლობა. და ეს, ამხანაგებო, ჩვენ მიგვაჩნია უწინარეს ყოვლისა ლენინური ეროვნული პოლიტიკის ტრიუმფად, პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია განუხრელად და თანმიმდევრულად ახორციელებს.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოს ყველა მშრომელის აზრს გამოვთქვამ, თუ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მივცემ პირობას, რომ ქართველი ხალხი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა ხალხთან ერთად მიდიოდა და კვლავაც მათთან ერთად მტკიცედ ივლის ლენინური გზით, და არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს გადაგვახვევინოს ამ გზიდან, რადგან ეს და მხოლოდ ეს გზა მიგვიყვანს სანუკვარ მიზანთან, კომუნიზმის ელვარე მწვერვალებთან. **(ტაში).**

ეროვნებათა საბჭოში

კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ დ. მ. მამულაძის სიტყვა

(ქედის საარჩევნო ოლქი, აჭარის ასსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეს სესია მიმდინარეობს ჩვენი დიდი სამშობლოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. ყველა მშრომელი დიდი კმაყოფილებით და სიამაყით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომლებშიც შეჯამებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები იმ პერიოდისა, რაც ჩვენი პარტიის ისტორიული XX ყრილობის შემდეგ გავიდა.

ამ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფო გახდა უფრო ძლიერი, გაიზარდა მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, გაუმჯობესდა ხალხის მატერიალური კეთილდღეობა. წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ერთხელ კიდევ მოწმობენ მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და აყვავების უდიდეს შესაძლებლობებს.

ეს წარმატებანი ახარებენ მრავალმილიონიან საბჭოთა ხალხსა და მის მეგობრებს მთელ მსოფლიოში. განუზომლად გადიდდა ავტორიტეტი საბჭოთა კავშირისა, რომელიც სათავეში უდგას ბრძოლას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის. კიდევ უფრო მტკიცე გახდა სოციალისტური ქვეყნების დიდი თანამეგობრობა.

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, აძლიერებენ რა სიფხიზლეს, მთელ თავიანთ ძალებს ანდომებენ მშვიდობიან მშენებლობას, საყვარელი სამშობლოს შემდგომი განმტკიცების საქმეს.

ამ დიდ საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს მშრომელებსაც. სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ქართველი ხალხი, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხები, მხურვალედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველ ღონისძიებას და მთელ თავის ძალებსა და ენერგიას ახმარს მათს განხორციელებას.

მიიღეს რა სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი როგორც მოქმედების საბრძოლო პროგრამა, საქართველოს მშრომელებმა მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში. გასული წელი აღნიშნულია რესპუბლიკის მშრომელთა სამეურნეო ინიციატივის შემდგომი ზრდით, მეცნიერულ-ტექნიკური საქმიანობის ახალი გაქანებით.

ქართველ ხალხთან ერთად ახალი წარმატებები მოიპოვეს აგრეთვე აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებმა. აჭარის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა შეასრულა 103,3 პროცენტით, წარმოების ზრდა 1955 წელთან შედარებით შეადგენს 8,7 პროცენტს.

1956 წელი იყო აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახალ წარმატებათა წელი. სამხრეთის უხვმა მზემ, ტენიანმა სუბტროპიკულმა ჰავამ და ნაყოფიერმა ნიადაგმა, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა დიდმა გამოცდილებამ და თავდადებულმა შრომამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ისეთი ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების ფართოდ განვითარებისათვის, როგორიც არის ჩაი, ციტრუსები, ვენახი, თამბაქო და სხვები. გასულ წელს, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, აჭარის მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 19.280 ტონა ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 100,4 პროცენტს შეადგენს. საშუალოდ ჰექტარზე მოკრეფილია 3.924 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა შესრულებულია 125 პროცენტით, ხოლო თამბაქოს დამზადების გეგმა — 103,1 პროცენტით. თამბაქოს დამზადება გრძელდება.

პირუტყვის სულადობის გაზიდებასთან, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებასთან ერთად გადიდდა მისი პროდუქტიულობაც. წველადობის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 103,8 პროცენტით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ სრულად ვერ ვიყენებთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდის შესაძლებლობებს. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. ცალკეული საწარმოები თავს ვერ ართმევენ საგეგმო დავალებებს, ყველგან როდი სრულდება ასორტიმენტის გეგმა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში, დაბალაკუთრებით მთიან რაიონებში, დაბალია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

ამჟამად რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ახორციელებენ ამ მთელ რიგ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვის პასუხად აჭარის მშრომელები კისრულობენ ვალდებულებას 1957 წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ სულ ცოტა 21 ათასი ტონა ხარისხოვანი მწვანე ჩაის ფოთოლი, 300-350 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, ბევრად გაადიდონ თამბაქოს, ტუნგოს და სხვა კულტურების მოსავლიანობა. მშრომელები კისრულობენ გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს. აჭარის სუბტროპიკულ რაიონებში იყენებენ ჩაის სასხლავ მანქანებს, მექანიკურ სასხურებლებს. მაგრამ მექანიზაციის ფართოდ დანერგვას ხელს უშლის ამ რაიონების ნიადაგის რთული რელიეფი. მიუხედავად იმისა, რომ სუბტროპიკულ მეურნეობაში მექანიზაციის შემდგომი დანერგვის საკითხი არაერთგზის დასმულა, დღემდე იგი გადაწყვეტილი არ არის. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საქმე კიდევ უარესად არის აჭარის მთიან რაიონებში, სადაც ხორციელდება ღონისძიებანი მევენახეობისა და მეხილეობის გაფართოებისათვის. მაგრამ არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები მომარჯვებული არ არიან მთიან რაიონებში სამუშაოდ. მე ვფიქრობ, რომ ასეთივე მდგომარეობაა სხვა რესპუბლიკების მთიან რაიონებშიც. სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ უფრო კონკრეტულად უნდა იმუშაოს სუბტროპიკული და მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობისათვის ახალი მანქანების შექმნაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და გავადიდოთ მოსავლიანობა.

საქართველოს სამრეწველო რაიონების და, კერძოდ, აჭარის სამრეწველო რაიონების დიდ ზრდასთან ერთად, ძლიერ გაიზარდა ქალაქების მოსახლეობა. მაგრამ საბინაო მშენებლობა უკანასკნელ დრომდე სრულიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებდა. საქალაქო საბჭოები და უწყებები ცუდად მუშაობდნენ საბინაო მშენებლობის საკითხებზე. ბათუმში, ისევე როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, მშრომელთა მნიშვნელოვან რაოდენობას მწვავედ ესაჭიროება საცხოვრებელი ფართობი. ჩვენ გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ეს გარემოება და 1957 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოთ დამატებითი ასიგნებანი საბინაო მშენებლობისათვის საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, კერძოდ აჭარის ასს რესპუბლიკაში. ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება მივაქციო შემდეგ საკითხსაც. ბათუმის რკინიგზის სამგზავრო ვაგზალი ქალაქის ცენტრშია. ეს იმის შედეგია, რომ ქალაქი საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა. მას ახლა ორ ნაწილად ჰყოფს რკინიგზის ხაზი, რაც ხელს უშლის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

გრძანებულება

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნას რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 1957 წლის 12 მარტს ქალაქ მოსკოვში.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ტარასოვი.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ი. ზიმინი.

მოსკოვი, 1957 წ. 9 თებერვალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ეროვნებათა საბჭოში

კამათი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებათა გამო

დეპუტატ დ. მ. მამულაძის სიტყვის დასასრული

სამგზავრო და სატვირთო ავტოტრანსპორტის ნორმალურ მოძრაობას, ქვეითებზე რომ აღარ ვალაპარაკოთ. მომწიფდა საკითხი, რომ ბათუმის სამგზავრო სადგური გადატანილ იქნას სხვა ადგილას, რაც არა მარტო მოაწესრიგებს მოძრაობას ქალაქში, არამედ შესაძლებლობასაც მოგვცემს რკინიგზის ლიანდაგით ერთმანეთს დავუკავშიროთ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. ვთხოვთ სსრ კავშირის გზათა სამინისტროს შეისწავლოს და დადებითად გადაჭრას ეს საკითხი.

აჭარის სუბტროპიკულ ზონას, რომელიც გადაჭიმულია ათობით კილომეტრზე შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, აქვს ჰავის მშვენიერი პირობები, თვალწარმტაცი ბუნება და წარმოადგენს კურორტს, სადაც ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამოდის 60 ათასზე მეტი მშრომელი. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ არ არის შექმნილი სრულფასოვანი დასვენებისა და მკურნალობის ყველა პირობა. საკმარისია ითქვას, რომ 24 სანატორიუმიდან და დასასვენებელი სახლიდან, რომლებიც ამ ზონაშია, მხოლოდ ოთხია მოთავსებული სპეციალურად აგებულ შენობებში, დანარჩენები კი მოთავსებულია მოუწყობელ, ძველ საადგილო შენობებში. ბევრი რამ არის საჭირო აგრეთვე ქობულეთი-ციხისძირი-მწვანეკონცხ-მახინჯაურის საკურორტო ზონის კეთილმოწყობისათვის. ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივ ორგანოებს არ მოეპოვებათ საკმაო სახსრები ახალი სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობისათვის და ძველების რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე აჭარის საკურორტო ზონის კეთილმოწყობისათვის. ვთხოვთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გაგვიწიოს საჭირო დახმარება ამ საქმეში, რათა უკეთ გამოვიყენოთ აჭარის შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივი სიმდიდრე ჩვენი ქვეყნის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

წინათ დაშვებულ შეცდომათა და დამახინჯებათა გამო ზოგიერთი კოლმეურნეობანი, განსაკუთრებით აჭარის მთიანი და სასაზღვრო რაიონების კოლმეურნეობანი, ძნელ ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ეს საკითხი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებებით შესწავლილ იქნა ადგილობრივ. ამჟამად შემუშავებულია ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება უეჭველად შეუწყობს ხელს მთიანი და სასაზღვრო რაიონების ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობას. ვთხოვთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეჩქაროს ამ საკითხების დადებითად გადაჭრა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სუბტროპიკული რაიონების, კერძოდ, აჭარის, ჭობულეთისა და ბათუმის რაიონების მთელი მიწები უკავია ჩაის, ციტრუსოვანთა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციებს. ამიტომ არ არის საკმაო ბაზა მეცხოველეობის განვითარებისათვის. საზოგადოებრივი პირუტყვის შესანახავად ყოველწლიურად გვიხდება რკინიგზით შემოვიტანოთ რუსეთის ფედერაციისა და სხვა რესპუბლიკების ოლქებიდან და მხარეებიდან 10 ათას ტონაზე მეტი უხეში საკვები, რისთვისაც კოლმეურნეობები დიდ სახსრებს ხარჯავენ. ამის გამო იზრდება მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის ზრდაზე. საგანგებო ყურადღებას ამ საკითხზე დეპუტატ ჩუბინიძის გამოსვლას. მეურნეობის ასეთი გაძღოლა რენტაბელური არ არის, მიზანშეწონილი არ არის. ჩვენ გთხოვთ ეს საკითხი გადაიჯრას ისე, რომ მოგვეცეს შესაძლებლობა უფრო ინტენსიურად ვიმუშაოთ სუბტროპიკული კულტურების მოყვანაზე. ვთხოვთ აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადასინჯოს მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარებისა და შესყიდვის ნორმები მათი შემცირების მიმართულებით და მოგვცეს შესაძლებლობა ადგილობრივი პირობების მიხედვით დადგენილ ფასებზე.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს, კერძოდ, აჭარის მშრომელები მთელ თავიანთ მიღწევებს უნდა უმადლოდნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ ხელმძღვანელობას, დიდი რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმურ უანგარო დახმარებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელ განხორციელებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც შემოტანილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად, ასახავენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ხალხის ინტერესებს. სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიზანია იმ ისტორიული ამოცანების გადაჭრა, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ, ჩვენი ქვეყნის შემდგომი ეკონომიური ზრდა, მისი თავდაცვისუნარიანობის განტკიცება, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება. ამიტომ ვუერთდები გამოსულ დეპუტატებს და მხარს ვუჭერ წინადადებას სახალხო მეურნეობის განვითარების 1957 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

აჭარის რესპუბლიკის მშრომელები ქართველ ხალხთან და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მთელ თავიანთ ძალებსა და ენერგიას ანდომებენ 1957 წლის გეგმის წარმატებით შესრულებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებას. (ტაში).

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ კანონებს 1957 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

★ ★

ახალი შრომითი აღმავლობა

თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობას. აგიტატორები საამქროებსა და ბრიგადებში სისტემატურად აცნობენ მსმენელებს სესიის მასალებს.

საიარაღო საამქროს აგიტატორმა ზეინკალმა სერგო ზაბაროვმა დაამთავრა თუ არა საუბარი, სიტყვა აიღო მოწინავე ზეინკალმა ალექსანდრე კეშელაშვილმა.

— ჩვენი მშობლიური პარტია და მთავრობა, — თქვა კეშელაშვილმა, — განუწყვეტლივ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მიმდინარე წელს დასახულია სახელმწიფო კაპიტალდაბანდებებით, აგრეთვე სახელმწიფო კredიტის დახმარებით და მოსახლეობის სახსრების გამოყენებით აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 46 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი, რაც კიდევ უფრო ამაღლებს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეს. ამ ზრუნვის პასუხად პირადად მე ვკისრულობ ყოველდღიური საწარმოო დავალება 200-220 პროცენტით შევასრულო, გამოვუშვა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია და ამით საკუთარი შრომითი წვლილი შევიტანო მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებაში.

საწოლების საამქროს მოწინავე ზეინკალმა გრიგოლ აღნიაშვილმა განაცხადა: — სესიის მიერ მიღებული 1957 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ერთხელ კიდევ ადასტურებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. ჩაება რა დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა 5 დეკემბრისათვის შესრულოს. ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის თავდადებით იბრძვის თვითეული მუშა, ინჟინერი, ტექნიკოსი. ქარხანამ იანვრის დავალება გადაჭარბებით შესრულა. წარმატებით სრულდება დავალებები თებერვლშიც.

მექანიკური ქარხნის კოლექტივი ერთსულოვნად, მხურვალედ იწონებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მიერ მიღებულ კანონებს.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელთა სიტყვა და საქმე

რესპუბლიკის უძველესი საწარმოს — თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ერთერთი პირველთაგანი გამოეხმაურა რუსთაველის მეტალურგთა პატრიოტულ თაოსნობას და ოქტომბრის რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გადიდებული ვალდებულებები აიღო. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა უკვე გადაგეს პირველი ნაბიჯები ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად — იანვრის დავალება 106 პროცენტით შესრულეს და სამშობლოს მისცეს ზეგეგმით პროდუქცია.

ქარხანაში განსაკუთრებული შრომითი აღმავლობა იგრძნობა თებერვალში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის დღეებში.

— როცა ეცნობი სესიის მუშაობას, — თქვა ცნობილმა მჭედელმა კ. ილურიძემ, — ერთხელ კიდევ რწმუნდები იმაში, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველაფერს აკეთებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. 1957 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საწინდარია. ყოველი ჩვენგანის ვალია არ დაზოგოს ძალღონე, ცოდნა და გამოცდილება მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის ვადამდე შესრულებისაფვის.

ასევე ფიქრობს ქარხნის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თვითეული წევრი. ამის საუკეთესო დადასტურებაა ის, რომ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა თებერვლის პირველ დეკადაში უკვე ჩააბარეს სამშობლოს 6 ვაგონი და 1 ორთქლმავალი. პირველი შემთხვევაა, როდესაც მზა პროდუქციის ჩაბარება თვის პირველი დღეებიდანვე იწყება. უკვე მზად არის კიდევ 5 ორთქლმავალი და 6 ვაგონი.

ერთსულოვნად იწონებენ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერისადმი

8 თებერვალს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. ა. სმირნოვი ეწვია ფედერალურ კანცლერს კ. ადენაუერს და გადასცა მას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის წერილი

ქვემოთ ქვეყნდება აღნიშნული წერილის ტექსტი:

მოსკოვი, კრემლი

1957 წლის 5 თებერვალი

პატივცემულო ბ-ნო ფედერალურო კანცლერო!

ჩვენი ელჩი ბრუნდება ბონში, და მას ვავალებ გადმოგცეთ ეს წერილი, რომელშიც გამოთქმულია ზოგიერთი მოსაზრება საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების თაობაზე.

ერთ წელზე მეტი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის მოსკოვში გაიმართა ფართო და გულახდილი მოლაპარაკება, რომლის შედეგად ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. ჩვენი ქვეყნების დელეგაციებს ერთსულოვნად მიაჩნდათ, რომ ამით საფუძველი ჩაეყრებოდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის ახალ ეტაპს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის. ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განვითარებას და ხელს შეუწყობს ომისშემდგომი პერიოდის იმ მოუწესრიგებელი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც აინტერესებს როგორც საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, ისე სხვა სახელმწიფოებს.

იმავე გულახდილობით, რომელიც ახასიათებდა ჩვენს საუბარს მოსკოვში, მინდა გითხრათ, ბ-ნო ფედერალურო კანცლერო, რომ ჩემი კოლეგები და მე კმაყოფილი არა ვართ იმით, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისა და საელჩოთა დაწესების შემდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ურთიერთ გაგებისა და თანამშრომლობის განვითარების ბევრი ხელსაყრელი შესაძლებლობა გამოყენებული არ ყოფილა.

ვერ დავმალავ აგრეთვე, რომ ჩვენ შეუშფოთებლად როდი ვხედავთ იმას, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გარედან მხარდაჭერით ხდება იმ ძალების აქტივიზაცია, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას და რომლებსაც უნდათ ფედერაციული რესპუბლიკა დააყენონ საომარი ავანტიურების საშიშ გზაზე.

იმის მიხედვით, თუ რას ამბობდა მოსკოვის მოლაპარაკების დროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დელეგაცია, თქვენ შეგიძლიათ ამის გამო თქვათ, რომ დასავლეთ გერმანიაში არ არიან ისეთი ძალები და ისეთი პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც აგრესიული ომი სურთ. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, თუ რა როლს აკუთვნებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზატორები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და მის შეიარაღებულ ძალებს. იგი სურთ გამოიყენონ აგრესიულ ომში ისეთი ინტერესების მისაღწევად, რომლებიც უცხოა გერმანელი ხალხისათვის.

ჩვენ აგრეთვე არ ვიზიარებთ დასავლეთ გერმანიის ზოგიერთ წრეებში გამოთქმულ იმ აზრს, თითქოს დიდი შეიარაღებული ძალების შექმნა და ატომური იარაღით მათი აღჭურვა განამტკიცებდეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობას. ჩვენი აზრით, საქმის ვითარება სწორედ საწინააღმდეგოა. ყოველი ახალი მილიარდი, რომელიც შეიარაღებისათვის იხარჯება, ყოველი ახალი დივიზია მხოლოდ გაართულებს ფედერაციული რესპუბლიკის საგარეოპოლიტიკურ მდგომარეობას, გააძლიერებს მისდამი უნდობლობასა და ეშვს სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით მისი მეზობლების მხრივ. ყოველივე ამით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის შორს გადაიდება აგრეთვე გერმანელი ხალხის მთავარი საერთო ეროვნული პრობლემის გადაჭრა — გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენა.

ამის შესახებ მე მთელი პირდაპირობით გწერთ არა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ეშინოდეს არმიისა, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ახლად იქმნება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ გვამოძრავებს ევროპის მშვიდობის ბედისათვის ზრუნვისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

როდესაც მოსკოვში თქვენ გვეუბნებოდით, რომ გერმანელი ხალხი შეძრწუნებით ფიქრობს ომზე და მის დამანგრეველ შედეგებზე, რომ მისთვის უმაღლესი სიკეთეა მშვიდობა, ჩვენ გვესმოდა ეს, რადგან კარგად ვიცით, რა ტანჯვა და მსხვერპლი გადაიტანა გერმანელმა ხალხმა ორ მსოფლიო ომში. ჩვენ გვესმის მისი სიძულვილი ომისადმი, მისი მისწრაფება მშვიდობიანი ცხოვრებისადმი. გერმანელმა ხალხმა აგრეთვე კარგად იცის, რა აუტანელი გაჭირვება და მსხვერპლი ხვდა წილად საბჭოთა ხალხს პირველი და განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომების პერიოდში.

წარსულ ომში საბჭოთა და გერმანელმა ხალხებმა ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს. მილიონობით საუკეთესო შვილების დაღუპვა, ათეულ ათასობით დანგრეული ქალაქები და სოფლები, კოლოსალურ მატერიალურ და კულტურულ ღირებულებათა მოსპობა — აი რა მსხვერპლის გაღება მოუხდათ ჩვენი ქვეყნების ხალხებსა და სხვა ხალხებს.

განა შეიძლება ყოველივე ამის დავიწყება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიის ამ გაკვეთილის დავიწყება დანაშაული იქნებოდა. აი ამიტომ ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ იმისათვის, რომ ეს არასოდეს აღარ გამეორდეს, იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობა ევროპაში, საჭიროა დავამყაროთ მტკიცე მეგობრული ურთიერთობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა საბჭოთა და გერმანელ ხალხებს შორის.

იქნება ევროპაში მშვიდობა თუ ომი — უწინარეს ყოვლისა ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ურთიერთობა დამყარდება ჩვენს ხალხებს შორის. აი ამიტომ ორივე ჩვენი მთავრობა უნდა განმსჭვალოს როგორც თავისი ქვეყნების ხალხთა ბედისათვის, ისე ევროპის მშვიდობის ბედისათვის პასუხისმგებლობის შეგნებით. ამას კი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

გულდასმით შევაფასეთ რა შექმნილი ვითარება, ჩემი კოლეგები და მე მივიღვიართ იმ დასკვნამდე, რომ როგორც საბჭოთა ხალხის, ისე გერმანელი ხალხის ძირეული ინტერესები მოითხოვენ, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობაში განხორციელდეს გადამწყვეტი მობრუნება ურთიერთ უნდობლობიდან და ერთგვარი მტრული დამოკიდებულებიდანაც კი ნდობისა და მეგობრობისაკენ და რომ ამისათვის საჭირო შესაძლებლობანი არის, ამასთან ეს შესაძლებლობანი სულაც არ არის ამოწურული.

ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში მხოლოდ ასეთი მობრუნება უზრუნველყოფს, რომ ორი დიდი ხალხი — საბჭოთა და გერმანელი ხალხები არასოდეს აღარ იქნებიან იძულებულნი გაფლანგონ თავიანთი ძალები და სიმდიდრე, სისხლით დაცალონ ერთმანეთი.

ჩვენ ვიცით, რომ არიან ძალები, რომლებიც ყოველნაირად უშლიან ხელს ნორმალური ურთიერთობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. ეს ძალები, თავიანთი ვიწროანგარებითი ინტერესებისათვის, აქეზებენ და აყენებენ ფედერაციულ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირთან მტრობის, მასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან სამხედრო კონფლიქტის გზაზე. ამას საკმაოდ დამაჯერებლად მოწმობს მუდმივი მოთხოვნები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი, რომ დააჩქაროს დიდი შეიარაღებული ძალების შექმნა, გაადიდოს შეიარაღებისა და უცხოეთის ჯარების შენახვის ხარჯები. ამისთვის დასჭირდათ აგრეთვე ათეული წლებით წინასწარ განესაზღვრათ უცხოეთის ჯარების ყოფნა ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ამ ბოლო დროს ხორციელდება პირდაპირი მზადება დასავლეთ გერმანიის ტერიტორიის გამოყენებისათვის ატომური ომის პლაცდარმად. ცდილობენ ყოველივე ეს შენიღბონ საბჭოთა კავშირის ვითომდა აგრესიულობის დამოწმებით. მაგრამ ეს მხოლოდ შირმაა. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას აყენებენ აგრესიის გზაზე, მისთვის დამღუპველ გზაზე, რომელსაც საერთო არა აქვს რა გერმანელი ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებთან, რომლებიც განუყოფელია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისაგან. ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმათ, ვისაც სურს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დააყენოს ომის გზაზე, ყველაზე ნაკლებ აწუხებთ მისი ბედი, გერმანელი ხალხის ინტერესები. ისინი აშკარად ვარაუდობენ თავიდან აიცილონ საპასუხო ატომური დარტყმა და ამ დარტყმისათვის გასწირონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იმედი აქვთ რა, რომ შეძლებენ სხვისი ხელით გლიჯონ ნარი და, გამოიყენებენ რა გეოგრაფიას, დაუსჯელად დარჩნენ დედამიწის შორეულ კუთხეებში. ამასთან მათ ავიწყდებათ, რომ ტექნიკის განვითარების ახლანდელ საუკუნეში ასეთი მიუწვდომელი კუთხეები უკვე აღარ არის.

მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მეტი იქნებიან ერის პატრიოტული ძალები, რომლებიც არავის მისცემენ საშუალებას ჩაითრიონ მათი ქვეყანა საომარ ავანტიურებში.

ყველა-ყველა, მაგრამ გერმანელ ხალხს არ შეუძლია დაინტერესებული იყოს იმით, რომ კვლავ დაადგეს საბჭოთა კავშირთან მტრობის გზას, იმ გზას, რომელზეც გერმანიამ შეიძლება მხოლოდ ყველაფერი დაკარგოს, მაგრამ ვერაფერი იპოვნოს. ტყუილად როდი იყო, რომ წარსულში გერმანიის ყველაზე შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწენი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა გერმანია-რუსეთის ურთიერთობის გამმტკიცებას, გადაჭრით გმობდნენ რუსეთთან გერმანიის წაჩხუბების ცდებს.

ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას მოეხსენება, რომ საბჭოთა მთავრობის ძირითადი პოლიტიკაა მშვიდობა და თანამშრომლობა ყველა სახელმწიფოსთან, მიუხედავად მათი შინაგანი პოლიტიკური სისტემებისა. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ ყველა საერთაშორისო პრობლემა, დავა და უთანხმოება შეიძლება გადაიჭრას დაინტერესებულ ქვეყნებს შორის მოლაპარაკების გზით, მშვიდობის და არა ომის გზით. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, ისევე როგორც სხვა ქვეყნებთან თავის ურთიერთობაში საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავს ამ პრინციპებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის სიდიადისა და გერმანელი ხალხის შემოქმედებითი გენიის ნამდვილი აყვავების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მშვიდობიანი განვითარების გზაზე.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ არის უდიდესი შესაძლებლობანი ფართოდ განვითარდეს საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი ეკონომიური ურთიერთობა ორივე მხარის სასარგებლოდ. ფედერაციულ რესპუბლიკას აქვს ყოველმხრივ განვითარებული მრეწველობა და შეუძლია ივარაუდოს, რომ დიდ და ხელსაყრელ დაკვეთებს მიიღებს საბჭოთა კავშირისაგან. საბჭოთა კავშირს თავის მხრივ აგრეთვე აქვს ფართო შესაძლებლობანი მიჰყიდოს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას საქონელი, რომლითაც დაინტერესებულია მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

ფედერაციულ რესპუბლიკასთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარების საკითხს ჩვენ ვაყენებთ აგრეთვე იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირს ასეთი ურთიერთობის განვითარება საიმედო საფუძვლად მიაჩნია სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისთვისაც. მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, ვლაპარაკობთ რა ჩვენს ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობის დამყარების საჭიროებასა და სარგებლობაზე, ჩვენ მუდამ ვითვალისწინებთ იმას, რომ ასეთი ურთიერთობის განვითარებამ არ შეიძლება მოუტანოს და არც უნდა მოუტანოს რაიმე ზიანი საბჭოთა კავშირის ან ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან. პირიქით, სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კარგ, მეგობრულ ურთიერთობას შეუძლია, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, მხოლოდ ხელი შეუწყოს ორივე ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას მშვიდობის განმტკიცების საერთო ინტერესებისათვის.

ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობის განმტკიცება და მეგობრული თანამშრომლობის დამყარება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა აგრეთვე გერმანელი ხალხის მთავარი ეროვნული ამოცანის გადაჭრას — გერმანიის გაერთიანებას. საბჭოთა ადამიანებს კარგად ესმით, რომ გერმანელებს აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიაში დიდად აღელვებთ საკითხი მათი ქვეყნის ეროვნული ერთიანობის აღდგენის შესახებ. ჩვენ გულწრფელი თანაგრძნობით ვეკიდებით ამ სამართლიან მისწრაფებას და მზად ვართ, როგორც წინათ, ყოველნაირად შევუწყოთ ხელი გერმანელ ხალხს მისი მთავარი საერთოეროვნული ამოცანის გადაჭრაში. მაგრამ გერმანიის გაერთიანების საქმე წინ ვერ წავა, სანამ გაგრძელდება ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტის უგულებელყოფის ცდები. ცხოვრება სულ უფრო ნათლად ადასტურებს, რომ მხოლოდ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დაახლოების გზაზე შეიძლება გამოინახოს გერმანიის პრობლემის გადაწყვეტა. ასევე აშკარაა ისიც, რომ გერმანიის გაერთიანების საქმეს ვერ დაეხმარება ის კურსი, რომ მოხდეს დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, რომ შეიზღუდოს მისი მოსახლეობის დემოკრატიული უფლებები და გაგრძელდეს მტრული პოლიტიკა გერმანიის მეზობელი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების მიმართ.

გერმანიის გაერთიანების დღე რომ მოვაახლოოთ, საჭირო იქნება ბევრი სიძნელის გადალახვა. საჭიროა, რომ ყველა დაინტერესებულმა სახელმწიფომ გააერთიანოს ღონისძიებანი ამ მიზნით. რაც უფრო მალე გაკეთდება ეს, მით უკეთესია. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობა მზად არის ორივე გერმანული სახელმწიფოს მთავრობებს ხელი შეუწყოს გერმანიის გაერთიანების ამოცანის გადაწყვეტაში.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება ამ მხრივაც ფრიად სასარგებლო იქნება.

მე მინდა აგრეთვე მივაქციო თქვენი ყურადღება საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 17 ნოემბრის წინადადებებს გაბიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე, რომლებიც თავის დროზე გამოეგზავნა ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას.

ამ წინადადებებით, როგორც ცნობილია, გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, მათ შორის ღონისძიებანი, რომლებიც გერმანიას ეხება. ამ ღონისძიებათა განხორციელებას, საბჭოთა მთავრობის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ევროპის ახლანდელი ვითარების გაჯანსაღებისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლა დადგა დრო, როცა ორივე ჩვენი ქვეყნის მთავრობებმა მოსკოვის 1955 წლის მოლაპარაკების დროს მიღწეულ ერთობლივ გადაწყვეტილებათა სრული შესაბამისობით უნდა გადადგან კონკრეტული ნაბიჯები საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის სერიოზული გაუმჯობესებისაკენ, ამასთან დაეყრდნონ იმ, მართალია ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც სასარგებლო გამოცდილებას სხვადასხვა დარგში ურთიერთობის განვითარებაში, რომელიც უკვე შეძენილია.

შეიძლებოდა, კერძოდ, განგვეხილა ისეთი მომწიფებული საკითხები, როგორიც არის საქონელბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდება ორივე ქვეყანას შორის და სავაჭრო ხელშეკრულების დადება; კონვენციის დადება კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე საკონსულო კონვენციის დადება, რომელიც განსაზღვრავდა თვითეული მხარის უფლებებს თავის მოქალაქეთა ინტერესების დაცვაში და გააადვილებდა მოქალაქეთა რეპატრიაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას.

მე მინდა ამასთან ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ, რა თქმა უნდა, სწორად არ მიგვაჩნია ჩვენი ურთიერთობის შემოფარგვლა მხოლოდ ეკონომიური, კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებით. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ გერმანელი ხალხის ხმას მთავარი საერთაშორისო პრობლემების განხილვის დროს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ჩვენ უკვე განვიხილეთ და ურთიერთ გაგებას მივაღწიეთ ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიც არის განიარაღება, ევროპის უშიშროების უზრუნველყოფა და სხვა პრობლემები, რომელთა გადაჭრით დაინტერესებული არიან როგორც საბჭოთა ხალხი, ისე გერმანელი ხალხი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თვალსაზრისთა დაახლოება ამ საკითხებში მეტად სასარგებლო იქნებოდა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს ფედერალური მთავრობა განიხილავს მეგობრული და კონსტრუქციული თანამშრომლობის სულისკვეთებით.

თავისთავად ცხადია, მე და ჩემი კოლეგები — საბჭოთა მთავრობის წევრები — მოხარული ვიქნებით, ბატონო კანცლერო, ყურადღებით შევისწავლოთ წინადადებანი, რომელთა გამოთქმას თქვენ, თქვენი მხრივ, შესაძლოდ მიიჩნევთ ამ ურთიერთობის განმტკიცების მიზნით ორივე ქვეყნის ხალხთა სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად.

პატივისცემით

ნ. ბულგანინი

მის აღმატებულებას
კონრად ადენაუერს,
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის ფედერალურ
კანცლერს
ბონი.

ჰ. მაკმილანსა და ნ. ა. ბულგანინს შორის წერილების გაცვლის გამო

გასული წლის გაზაფხულზე, როცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ინგლისში იყვნენ, მათ მოწვეულ იქნენ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში. ეს მოწვევა მიღებულ იქნა და 1956 წლის ივლისში სერ ანტონი იდენმა, როგელიც მაშინ პრემიერ-მინისტრი იყო, გამოგზავნა ცნობა, რომ მისი ვიზიტი მოსკოვში მოხდებოდა 1957 წლის მაისში.

28 იანვარს დიდი ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჰ. მაკმილანმა შემდეგი წერილი გამოუგზავნა ნ. ა. ბულგანინს:

„ლონდონი, 1957 წლის 28 იანვარი

გასული წლის ივლისში თქვენსა და სერ ანტონი იდენს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ იგი მაისის დამდეგს ვიზიტით ჩამოვიდოდა მოსკოვში.

თავაზიანობის მოსაზრებანი მიკარნახებენ გაცნობოთ, რომ დიდი მოუცლელობის გამო ვშიშობ, რომ ვერ ვიქონიებ იმედს, რომ ვიზიტით ჩამოვიდე მოსკოვში ამ დროს.

იმედი მაქვს, რომ შეიძლება შეიქმნას მდგომარეობა, როცა თქვენ მიესალმებით ასეთ ვიზიტს და ამასთანავე იგი დროული იქნება მსოფლიოს ვითარების თვალსაზრისით“.

2 თებერვალს ამხ. ნ. ა. ბულგანინმა შემდეგი პასუხი გაგზავნა ჰ. მაკმილანის წერილზე:

„მოსკოვი, 1957 წლის 2 თებერვალი

მივიღე თქვენი 28 იანვრის წერილი. ჩემი კოლეგები და მე კვლავ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პირად კონტაქტებს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეებთან როგორც დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან ფაქტორს. ამასთან ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ეს ურთიერთობა უნდა ვითარდებოდეს ხელსაყრელი მიმართულებით როგორც ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, ისე საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესების ინტერესებისათვის.

თავისთავად იგულისხმება, რომ თქვენს წინამორბედ სერ ანტონი იდენთან თავის დროზე მიღწეული შეთანხმება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მოსკოვში ვიზიტით ჩამოსვლის შესახებ ძალაში რჩება და ჩვენ მივესალმებოდით თქვენს ჩამოსვლას მოსკოვში ამა წლის მაისში. ხოლო თუ თქვენ ვერ შეძლებთ ეწვიოთ საბჭოთა კავშირს ამ დროს, ჩვენი სურვილია ვიცოდეთ თქვენი მოსაზრებანი ვიზიტის თქვენთვის უფრო მისაღები სხვა ჟამის შესახებ, რომელიც შეიძლებოდა დამატებით შეგვეთანხმებინა.

არ გვეეჭვება, რომ მოსკოვში თქვენთან შეხვედრა შექმნიდა იმის შესაძლებლობას, რომ ნაყოფიერად გაგვეზიარებინა ერთმანეთისათვის აზრები უშუალოდ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე სხვა საკითხებზე, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ორივე მხარისათვის“. (საკდესი).

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

ნიუ-იორკი, 10 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა. ყრილობას ესწრება 300-ზდე დელეგატი — 30-ზე მეტი შტატის ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დილის სხდომაზე აირჩიეს პრეზიდიუმი და ყრილობის სხვა მუშა ორგანოები. პრესის წარმომადგენლები არ დაუშვეს პირველ სხდომაზე, რამდენადაც, როგორც ყრილობის პრესის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, ამერიკის შეერთებულ შტატებში კომუნისტთა დევნის ახლანდელ პირობებში ზოგიერთმა დელეგატმა შეიძლება დაკარგოს სამუშაო, თუ მათი ვინაობა გამოქვეყნებულ იქნა.

ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასის პარტიის ყრილობა გაიხსნა უაღრესად ძნელ ვითარებაში კომპარტიის ეროვნული კომიტეტის ექვსი წევრი — ელიზაბეტ ფლინი, ჯილბერტ გრინი, ჰეს ჰოლი, პეტის პერი, რობერტ ტომსონი, ჰენრი უინსტონი — საპატიმროშია სმიტის რეაქციული კანონის საფუძველზე; კომპარტიის ბევრ სხვა მოღვაწეს მისჯილი აქვს პატიმრობა, მაგრამ ახლა საწინდრით გაათავისუფლეს შემდგომი სასამართლო პროცესის მოლოდინში. კომპარტიის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოელის გასამართლებას სმიტის კანონისა და სხვა ანტიდემოკრატიული კანონების საფუძველზე. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზებზე კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციებს, რომლებიც მოწვეული იყვნენ ყრილობაზე. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიას ძალიან გაუჭირდა შენობის შოვნა ყრილობის მოსაწყობად. ოცი სასტუმროსა და ორმოცი დარბაზის მფლობელებმა უარი განაცხადეს შენობების მიქირავებაზე. კომპარტიის ხელმძღვანელობამ გაჰპარვებით მოახერხა დაექირავებინა პატარა დარბაზი ჯუერიმუსთა რაიონში. შენობის ახლოს, როგორც ყრილობის მონაწილენი იუწყებიან, არის არა მარტო პოლიცია, არამედ აგრეთვე საეჭვო პიროვნებანი კორესპონდენტის ბარათებით და ფოტოაპარატებით. პრესის წარმომადგენელთა უმრავლესობა მათ არ ცნობს რეპორტიორებად, რაც საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ ესენი არიან გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები.

იმასთან დაკავშირებით, რომ პრესის წარმომადგენლები არ იყვნენ სხდომაზე, კომპარტიის წარმომადგენელმა დაწვრილებით უამბო კორესპონდენტებს ყრილობის მუშაობის შესახებ და დაურიგა გამოსაქვეყნებლად სიტყვების ტექსტები და სხვა დოკუმენტები.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის სახელზე მიღებულია უცხოეთიდან ბევრი მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიის მისალმებანი. დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ყრილობის მონაწილენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას. მისალმებაში ნათქვამია:

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ძმურ სალამს უთვლის ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის XVI ყრილობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტები მხურვალე თანაგრძნობით ადევნებენ თვალყურს იმას, თუ როგორ ძლევს თქვენი პარტია ბევრ სიძნელეებს, რომლებიც მას წილად ხვდა უკანასკნელ წლებში.

მთელი თავისი მოღვაწეობით და ბრძოლით თქვენი პარტია ამტკიცებს, რომ მას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა შეერთებული შტატების მუშათა კლასის და ყველა მშრომელის ინტერესებისა. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად იცავს ამერიკელი ხალხის დემოკრატიულ უფლებებს, განაგრძობს და ავითარებს რა ლინკოლნის, ჯეფერსონის, დებსის, რუტენბერგისა და ამერიკის სხვა გამოჩენილი შვილების საუკეთესო ტრადიციებს. პარტია ამხილებს აგრესიული იმპერიალისტური წრეების ზრახვებს, რომლებიც ცდილობენ ახალი ომის უფსკრულში გადაჩეხონ ხალხები. შეერთებული შტატების კომუნისტები მედგრად იბრძვიან პარტიის შენარჩუნებისათვის, მისი რიგების ერთიანობის განმტკიცებისათვის ნაცადი მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე, მუშათა კლასის სასიცოცხლო უფლებებისათვის. ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მუდამ ცდილობდა შეენარჩუნებინა ძმური იდეური კავშირი სხვა კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, დაფუძნებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, რომლებიც წმიდაა ყველა ქვეყნის მოწინავე მუშებისათვის.

ვუსურვებთ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიას წარმატებებს ამერიკელი ხალხის დემოკრატიული უფლებებისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, პარტიის შემდგომი იდეური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

გამოაქვეყნეს აგრეთვე იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, კანადისა და პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიების მისალმებანი.

გუშინ დილის სხდომაზე ყრილობის დელეგატებმა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მოუწოდებენ მას მიიღოს ღონისძიებანი, რათა აღიკვეთოს ზანგების საწინააღმდეგო რასისტული ტერორი.

ყრილობის დღის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს პარტიის გენერალურმა მდივანმა იუჯინ დენისმა და პარტიის თავმჯდომარემ უილიამ ფოსტერმა.

კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ი. დენისმა მოუწოდა პარტიის ერთიანობისაკენ მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე.

დენისმა აღნიშნა, რომ პიროვნების კულტის მხილების შემდეგ და უნგრეთის ამბების შემდეგ „მნიშვნელოვანი ჯგუფები პარტიაში დროებით დეზორიენტირებულ და დემობილიზებულ იქნენ და რომ ამას მოჰყვა გაფთრებული საშინაო ბრძოლა“, რომელიც გათიშვის საფრთხეს უქმნიდა პარტიას. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა დენისმა, საბედნიეროდ, „ჩვენი პარტიის წევრთა მნიშვნელოვანი ჯგუფები და ზოგიერთი ხელმძღვანელი მდგომარეობის სიმაღლეზე აღმოჩდნენ“ და „მტკიცე ბრძოლას პარტიის გადარჩენისათვის, მისი მარქსისტულ-ლენინური პრინციპების დასაცავად და საჭირო ცვლილებებისათვის ახამებდნენ გადამწყვეტ ღონისძიებებთან პარტიის ერთიანობის შენარჩუნებისათვის“.

დენისის სიტყვით, ბევრი უთანხმოება პარტიაში ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი და გადაუჭრელი დარჩება ყრილობაზე. მაგრამ, განაცხადა მან, პარტიას ახლა ძალუძს „შეიმუშაოს კოლექტიური და ერთიანი მიდგომა ბევრი საპროგრამო საკითხისადმი და მეტი წილი გადაუდებელი პრობლემებისადმი, რომლებთანაც მას საქმე აქვს“.

დენისმა განაცხადა, რომ, თუმცა საჭიროა აღმოიფხვრას სხვა მარქსისტული პარტიების გამოცდილების მექანიკური გადატანის ტენდენცია, ამავე დროს საჭიროა დადასტურდეს, რომ არსებობს „მარქსისტული პრინციპები, რომელიც ყველგან შეიძლება გამოვიყენოთ“. მან დასძინა: „ჩვენ ვგმობთ ცინიზმსა და მტრულ დამოკიდებულებას სოციალისტური ქვეყნებისა და მათი მარქსისტული პარტიებისადმი. ჩვენ ვგმობთ ყოველ თვალსაზრისს, რომელიც ხედავს მხოლოდ სოციალისტური პრინციპების მომხდარ დარღვევებს, მაგრამ ვერ ხედავს სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების ისტორიულ მიღწევებს, აგრეთვე ამ ახალი სოციალისტური სისტემების თვითგამოსწორებისა და დინამიკური პროგრესის იმ პროცესს, რაც ამჟამად მიმდინარეობს“.

თავის სიტყვაში პარტიის თავმჯდომარემ უ. ფოსტერმა გააკრიტიკა ოპორტუნისტული და რევიზიონისტული ტენდენციები პარტიაში. მან მოუწოდა ყრილობას უარყოს ყოველგვარი წინადადება კომპარტიის შეცვლის შესახებ „პოლიტიკური ასოციაციით“ და განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება „უკან გადადგმული დამღუპველი ნაბიჯი იქნებოდა ჩვენთვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული ხასიათის გამო“. უ. ფოსტერმა თქვა, რომ კომუნისტურმა პარტიამ აგრეთვე ცხადად უნდა დაადასტუროს თავისი მხარდაჭერა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებისადმი, უარყოს რევიზიონისტების ცდები დაგვიხატონ ლენინიზმი როგორც „არსებითად რუსეთის რევოლუციის პროდუქტი“, რომელსაც „მხოლოდ შეზღუდული გამოყენება აქვს“. ფოსტერმა თქვა, რომ საჭიროა აგრეთვე პარტიამ განამტკიცოს თავისი ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ეროვნულ კომიტეტში, მეტი პროლეტარული ელემენტები და ახალი ძალები შეიყვანოს ხელმძღვანელობაში.

„პროლეტარული ინტერნაციონალიზმის განმტკიცება, — ხაზგასმით აღნიშნა ფოსტერმა, — ამ ყრილობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“.

დასასრულ ფოსტერმა განაცხადა: „შექმნილი რა ერთიანობას პარტიაში ჯანსაღი მარქსისტულ-ლენინური პროგრამისა და ხელმძღვანელობის გარშემო, ჩვენს ყრილობას შეუძლია დაძლიოს კრიზისი... თუ ჩვენ აღმოვჩნდებით ჩვენი პარტიული ამოცანების სიმაღლეზე იმ მრავალი გაკვეთილის მიხედვით, რომლებიც გამოვიტანეთ ჩვენი ხანგრძლივი და ნაყოფიერი პარტიული დისკუსიიდან, ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, რა სწრაფად შეძლებს ჩვენი პარტია გააუმჯობესოს თავისი მდგომარეობა, განამტკიცოს თავისი რიგები... და კვლავ გახდეს რეალური ფაქტორი მუშათა კლასის, ზანგებისა და ჩვენი ქვეყნის მთელი დემოკრატიული ძალების მზარდ ბრძოლაში“.

დღეს სხდომები აქვთ ყრილობის სხვადასხვა კომისიებს, რომლებიც განიხილავენ ყრილობის რეზოლუციის პროექტს, პარტიის წესდების პროექტს, პროფკავშირული მოძრაობის საკითხებს და სხვა საკითხებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საუდის არაბეთის მეფე

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საagენტო იუწყება, დღეს ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ვაშინგტონიდან მადრიდში გაფრინდა საუდის არაბეთის მეფე საუდი.

მოკვდა მ. ჰორჯი

პარიზი, 9 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საagენტო იუწყება, დღეს ლისაბონში მოკვდა უნგრეთის ყოფილი ფაშისტი მმართველი მიკლოშ ჰორტი.

სამეცნიერო სესია

14-16 თებერვალს დღის 11 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29) ჩატარდება აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის სექტორის, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის სექტორისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, მიძღვნილი **ამერიკაკავკასიის ხალხთა ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის საკითხებისადმი.**

სესიაზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

1. ავესტა, როგორც ახლო და შუა აღმოსავლეთის ძველი კულტურის ძეგლი (მოხსენებელი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ო. მაკოველსკი);
2. ანანია შირაკაცის (VII ს.) საბუნებისმეტყველო შეხედულებანი (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ვ. კ. ჩალოიანი);
3. სომეხ-ქართველთა ფილოსოფიური ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი შ. ი. ნუცუბიძე);
4. ბერძნული ლოგიკის არაბული თარგმანი და ლოგიკის განვითარება შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ ნ. ა. ბაკუევი);
5. ძირითად მსოფლმხედველობრივ მიმართებათა სტრუქტურის ევოლუციისა [illegible] (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ვ. ხიდაშელი);
6. ტატევის ფილოსოფიური სკოლა და გრიგოლ ტატევაცის მსოფლმხედველობა (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. ს. არევშატიანი);
7. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიიდან ფეოდალური ხანის (XIII-XVIII ს.) აზერბაიჯანში (მოხსენებელი ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ა. სეიდ-ზადე);
8. XIX საუკუნის სომხური ფილოსოფიის ძირითადი ნიშნები (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გ. გ. გაბრიელიანი);
9. ქართველ სამოციანელთა ფილოსოფიური შეხედულებანი (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ა. გაგოიძე);
10. მარქსიზმის გავრცელება სომხეთში (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ა. აბრამიანი);
11. მარქსისტული ფილოსოფიის გავრცელების ისტორიიდან საქართველოში (80-იანი და 90-იანი წლები) (მოხსენებელი ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ო. მ. ბაკურაძე).

შესვლა თავისუფალია.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატი

მიმდინარე წლის საკავშირო ჩემპიონატი ჰავანაში შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება. ჯერ კიდევ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, თუ ვინ მოიპოვებს ოქროს მედალს, ვინ იქნება ჩემპიონი, რადგან ლიდერთა შედეგები დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს, 9 თებერვალს შეხვედრათა განუახლებლად ტარასოვ-კლიმანი და ტალ-ფურმანი ყაიმზე შეთანხმდნენ, ტარასოვმა დამარცხებულად ცნო თავი კერესთან, კლიმანმა — ხოლმოვთან. საინტერესო ბრძოლის შემდეგ ხოლმოვმა მოუგო სტოლიარს, სტოლიარმა — ტოლუშს, პეტროსიანმა — არონსონს. ბანიკასპასკის პარტია ყაიმით დამთავრდა.

10 თებერვალს გაიმართა მე-14 ტური. ყურადღების ცენტრში იყო გროსმაისტერების პეტროსიანისა და ბრონშტეინის პარტია. ეს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ბოლესლავსკი-ბანიკის პარტიაში. წარმატებით იბრძოდა კერესი ტოლუშის წინააღმდეგ და გათამაშების ცხრილში კვლავ ერთი გამარჯვება ჩაიწერა. კლიმანმა მოუგო არონსონს, ხასინმა — ნეიმეტდინოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

14 ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერია გროსმაისტერი კერესი, რომელსაც 9 ქულა აქვს. ხოლმოვს აქვს 8,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბრონშტეინს, პეტროსიანსა და ტოლუშს — რვანახევარ-რვანახევარი ქულა.

საქალაქთაშორისო მატჩი კრივში

თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საქალაქთაშორისო მატჩი კრივში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ტაშკენტისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის.

შეჯიბრების დაწყებამდე სპორტსმენთა კოლექტივებმა სამახსოვრო ვიმპელები გაცვალეს. სტუმრებმა რინგზე გამოიყვანეს 9 წონითი კატეგორიის მოკრივეები, თბილისელებმა — ათივე კატეგორიისა. ეს საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 18:11.

თბილისელებიდან გამარჯვება მიეკუთვნა ვ. მიქაელიანს (უმჩატესი წონა), ს. ჩოტლიდის (მჩატე წონა), ი. მელაძეს (მსუბუქი წონა), ს. აბაზაძეს (პირველი ქვესაშუალო წონა), ვ. სილაგაძეს (პირველი საშუალო წონა), ს. მურადხანიანს (მეორე საშუალო წონა), რ. ლომიძეს (ქვემძიმე წონა), რ. კოჩიევს (მძიმე წონა).

იშვიათი ოპერაცია

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონული საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მოიყვანეს მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოქალაქე ა. კურიციანი, რომელსაც გულმკერდის არეში დანით მიყენებული ჰქონდა ჭრილობა.

საავადმყოფოს მთავარმა ქირურგმა გ. შოთაძემ, რომელსაც ქირურგად მუშაობის 28 წლის სტაჟი აქვს, დაასკვნა, რომ დაშავებული იყო ფილტვი და გული.

ქირურგმა ავადმყოფს ამოაცალა ორი ნეკნი და შეუდგა ჭრილობის დათვალიერებას. აღმოჩნდა გულის პერანგის ჭრილობა. გულის პერანგში ბევრი სისხლი იყო ჩაქცეული. ღრუს ამომშრალების შემდეგ გულის მარცხენა პარკუჭზე აღმოჩნდა ერთი სანტიმეტრის სიგრძის ჭრილობა, საიდანაც სისხლი ხანგამოშვებით შადრევნისებურად სჩქეფდა. პარკუჭის ჭრილობას დაედო კვანძოვანი ნაკერავი. ასევე გაიკერა გულის პერანგის ჭრილობაც.

საავადმყოფოს ექიმთა ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად ავადმყოფი გამოჯანსაღდა და მალე სამუშაოს დაუბრუნდება.

რამდენიმე სტრიქონით

⊙ **დამთავრდა კინოთეატრის შენობის აგება** თბილისში ბარნოვის ქუჩაზე, მაყურებელთა დარბაზი 200 კაცს დიატევს. ამჟამად მიმდინარეობს შენობის შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები. იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა უახლოეს ხანში.

⊙ **ლამაზი, მაღალხარისხოვანი ბროლის ნაწარმით** მარაგდება თბილისის ბროლის სპეციალიზებული მაღაზია. აქ შარშან გაიყიდა მოსკოვის, კიევის, სვერდლოვსკის, ლენინგრადის და სხვ. ბროლის ქარხნებიდან მიღებული 5,5 მილიონი მანეთის ბროლის ჭურჭელი—მხატვრული ვაზები, სურები, ღვინის, ჩაის, შამპანურის ჭიქები და სხვ., სულ 250 სახელწოდების საქონელი. წელს მაღაზია მომზმარებელს მიაწვდის 5 მილიონი მანეთის საქონელს.

⊙ **ახალი გარაჟი სამგზავრო ტაქსომოტორებისათვის** აშენდა დიდუბეში. გარაჟი გათვალისწინებულია 80 მანქანისათვის.

⊙ **250 მილიონი მანეთის საქონელს** გამოუშვებენ წელს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილმრეწველობის სამმართველოს საწარმოები. ეს იქნება უმთავრესად ფართო მოხმარების საგნები.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის გმირული ბრძოლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში წარმოადგენს ჩვენი დიადი სამშობლოს სახელოვანი ისტორიის ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის

საბრძოლო დიდების სახელოვანი ფურცელი

(ვოლოჩაევკასთან თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების 35 წლისთავი)

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო უცხოეთის შეიარაღებული ინტერვენცია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. მსოფლიო იმპერიალიზმი ცდილობდა ინტერვენტებისა და თეთრი გენერლების სისხლიანი ხელებით მოეხრჩო მუშათა და გლეხთა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, აღედგინა ბურჟუაზიულ-მემამულური ბატონობა რუსეთში. საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ ამ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ მოწყობაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდათ ამერიკელ, ინგლისელ, ფრანგ და იაპონელ იმპერიალისტებს.

კომუნისტურმა პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით ფეხზე დააყენა მუშები და გლეხები ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ სამამულო ომისათვის, შექმნა ახალი ტიპის სახალხო არმია — წითელი არმია.

გმირმა საბჭოთა ხალხმა და მისმა წითელმა არმიამ მოიგერიეს ანტანტის სამი სამხედრო ლაშქრობა და მძიმე ბრძოლებში მოსპეს კოლჩაკის, იუდენიჩის, დენიკინის, ვრანგელის და პილსუდსკის თეთრგვარდიელი ურდოები.

1920 წლის დამლევისათვის ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა ძირითადი ძალები განადგურებულ იქნა, მხოლოდ შორეული აღმოსავლეთი ჯერ კიდევ არ იყო გაწმენდილი ამერიკელი და იაპონელი დამპყრობლებისაგან.

ინტერვენტების შეიარაღებული თავდასხმის პასუხად შორეული აღმოსავლეთის მშრომელები კომუნისტების ხელმძღვანელობით ხელში იღებდნენ იარაღს, ქმნიდნენ პარტიზანულ რაზმებს, ფეხზე დგებოდნენ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ფშიდათა-ფშიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომისათვის.

1920 წელს ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდნენ გაეყვანათ თავიანთი ჯარები შორეული აღმოსავლეთიდან. მაგრამ ამ იძულებითი წასვლის შემდეგაც ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ იაპონელ ინტერვენტებს და თეთრგვარდიელთა ბანდებს, რომელთა პარპაში შორეულ აღმოსავლეთში 1922 წლამდე გაგრძელდა.

იაპონელ დამპყრობლებს შორეულ აღმოსავლეთში ჰყავდათ 100-ათასიანი ჯარი, გაწვრთნილი და შეიარაღებული არმია. მათ მიერ აღჭურვილი იყვნენ თეთრი გენერლების სემენოვისა და კალმიკოვის ბანდები, რომლებიც გაუგონარი მხეცობითა და წამებით ლამობდნენ დაეთრგუნათ მშრომელთა წინააღმდეგობა. იაპონელმა ინტერვენტებმა ათასობით მუშა და გლეხი აწამეს. საბჭოთა ადამიანებს ხვრეტდნენ, აბრჩობდნენ, ცოცხლად სწვავდნენ.

1920 წლის აპრილში ვლადივოსტოკში იაპონელმა ოკუპანტებმა მუხანათურად ხელთ იგდეს შორეული აღმოსავლეთის პარტიზანების უშიშარი ხელმძღვანელი კომუნისტი სერგეი ლაზო, რომელიც მხეცური წამების შემდეგ თავის თანამებრძოლებთან ერთად ცოცხლად დასწვეს ორთქლმავლის ღუმელში.

მაგრამ სისხლიანმა ტერორმა ვერ უშველა იაპონელ ინტერვენტებს. სახალხო მოძრაობა სულ უფრო ფართოვდებოდა, კიდევ უფრო ორგანიზებული და მტკიცე ხდებოდა.

1921 წლის ბოლოს საბჭოთა მთავრობის დავალებით შორეული აღმოსავლეთის მამაცი პარტიზანების დასახმარებლად გაიგზავნენ წითელი არმიის შენაერთები. წითელი არმიის სარდლობის მიერ შემუშავებული გეგმით მთავარი დარტყმა მტრის წინააღმდეგ ხაბაროვსკის მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. ამ გეგმის ძესაბამისად წითელი არმიის ექვინაივ ნაწილებს უნდა შეებოჭათ იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის მთავარი ძალები, ხოლო პარტიზანებს გამანადგურებელი დარტყმა უნდა მიეყენებინათ მათი კომუნიკაციებისათვის, შემდეგ კი ჩვენს გაერთიანებულ ძალებს ერთობლივი დარტყმით უნდა აეძულებინათ მოწინააღმდეგე უკან დაეხია და მძლავრი შეტევის განვითარებით გაენადგურებინა იგი.

1921 წლის დეკემბრიდან 1922 წლის თებერვლამდე ინტერვენტთა სარდლობამ მოახერხა შეექმნა ვოლოჩაევკის გამაგრებული პოზიცია, მთელი რაიონი დაფარული იყო სატყვიამფრქვევო და საარტილერიო წერტილებით, მავთულხლართების მძლავრი ღობურებით, ამასთან ეს პოზიცია ბატონობდა მის წინ გაშლილ ვეებერთელა ველზე. უცხოელი სამხედრო ინჟინრების ხელმძღვანელობით მოწყობილი ეს გამაგრებული რაიონი, ხაბაროვსკის მიმართულების გასაღები, მიუვალად მიაჩნდა მოწინააღმდეგეს, რომელიც მას „შორეული აღმოსავლეთის პერეკოპს“ უწოდებდა.

შეტევითი ოპერაციის დაწყების წინ დიდი მოსამზადებელი მუშაობა ტარდებოდა წითელი არმიის ნაწილებში. მებრძოლებს აცნობდნენ მომავალი ბრძოლების მნიშვნელობას შორეული აღმოსავლეთიდან ოკუპანტებისა და თეთრგვარდიელების განდევნის საქმეში. 31 იანვარს სადგურ ინში მოეწყო საბჭოთა არმიის ნაწილების პარადი-მიტინგი, რომელიც ჩვენი არმიის ძალისა და მისი საბრძოლო მზადყოფნის დათვალიერებად იქცა. „ხაბაროვსკი წითელი უნდა გახდეს!“, „წინ, ზღვისპირეთის განთავისუფლებისათვის!“—ამ საბრძოლო მოწოდებებით მიდიოდნენ პარადზე წითელარმიელები. ეს იყო მათი მაღალი მეგნეტულობისა და ძეტევითი სულისკვეთების დემონსტრაცია.

4 თებერვალს წითელი არმიის სარდლობამ გასცა ბრძანება შეტევაზე გადასვლის შესახებ. მტრის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, წითელმა პოლკებმა დაიკავეს სადგური ოლგოხტა. აქ თავი ისახელა ჩიტის ბრიგადის მე-2 პოლკმა, რისთვისაც მისი ოცდარვა მებრძოლი და მეთაური დაჯილდოებულ იქნენ წითელი დროშის ორდენებით.

9 თებერვალს დაიწყო წითელი არმიის იერიში ვოლოჩაევკაზე. საბჭოთა მეომრები სასტიკი ბრძოლებით ნაბიჯნაბიჯ იკავებდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებს. ვერც მტრის გრიგალისებურმა ცეცხლმა, ვერც მავთულხლართების თორმეტმწკრივმა ღობურამ, ვერც ორმოცგრადუსიანმა ყინვამ ვერ შეაჩერეს წითელი არმიის მძლავრი იერიში. სამი დღის მძაფრი ბრძოლების შემდეგ, 1922 წლის 12 თებერვალს, წითელი არმიის ნაწილებმა გატეხეს მტრის წინააღმდეგობა, სასტიკად დაამარცხეს იაპონელი ინტერვენტები და თეთრგვარდიელები და დაიკავეს სადგური ვოლოჩაევკა.

წითელი არმიის გამარჯვებას ვოლოჩაევკასთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შორეულ აღმოსავლეთში ჩვენი არმიის შემდგომი საბრძოლო ოპერაციების ჩატარებისათვის, შორეული აღმოსავლეთის განთავისუფლებისათვის.

იმავე წლის ოქტომბერში წითელი არმიის ნაწილები ვლადივოსტოკში შევიდნენ. დიდი ოქტომბრის მეხუთე წლისთავზე შორეულ აღმოსავლეთში აღდგენილ იქნა საბჭოთა ხელისუფლება.

უცხოელ ინტერვენტთა და თეთრგვარდიელთა სამხედრო ინტერვენციამ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ სამარცხვინო კრახი განიცადა. გმირმა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მოიგერია საერთაშორისო კაპიტალის